



1923219476291

www.info.court.ge



საქმე №3/3877-13

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით  
სარჩელის წარმოებაში მიღების, დასაშვებად ცნობისა და მოსამზადებელი სხდომის  
დანიშვნის შესახებ

18 ნოემბერი, 2013 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია  
მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძე

მოსარჩელები - ასოცია „მწვანე ალტერნატივა“

დავით სახვაძე

მოპასუხეები - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

საქართველოს მთავრობა


დავის საგანი - ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
მინისტრის 2013 წლის 05 ივლისის №03/108 და 2013 წლის 08 აგვისტოს №03/130  
ბრძანებები

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის №1430,  
2013 წლის 04 ოქტომბრის №1433 და №1435 და 2013 წლის 07 ოქტომბრის  
განკარგულებები

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების  
საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ ხარვეზი შევსებულ იქნა სრულყოფილად,  
დადგენილ ვადაში, რის გამოც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე  
მუხლის საფუძველზე, სარჩელი წარმოებაში უნდა იქნეს მიღებული და დასაშვებად  
ცნობილი, ვინაიდან სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული  
საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მოთხოვნებს.



სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, 22-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე, 284-285-ე, 447-ე, მუხლებით და

### დაადგინა:

1. ასოცია „მწვანე ალტერნატივას“ და დავით სახვამის სარჩელი მოპასუხეების საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მიმართ აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, სასამართლო წარმოებაში იქნეს მიღებული და დასაშვებად იქნეს ცნობილი.
2. №3/3877-13 ადმინისტრაციულ საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნოს 2013 წლის 24 დეკემბერს 13:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით დაიწყოს საქმის მომზადება, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს მოპასუხე მხარეს.
4. მოპასუხეს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში დაევალოს შესაგებლის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენა.
5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე



ინგა კვაჭანტირაძე